თუ პრემიერ-მინისტრი გადადგა... #სქემა N3

პრემიერ-მინისტრის გადადგომა მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე იწვევს მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

პრეზიდენტის ვალდებულება

პრეზიდენტი, პარლამენტის მიერ ახალი მთავრობის შექმნამდე, მთარობის მოვალეობის შესრულებას აკისრებს „ძველ“ მთავრობას. პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ამ შემთხვევაში ასრულებს გადამდგარი პრემიერი, ვინაიდან მისი გადადგომით ვიცე-პრემიერიც ავტომატურად გადამდგარად ითვლება.

პრეზიდენტი

პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას

პრემიერობის კანდიდატი

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას ნდობის მისაღებად.

პარლამენტი

პარლამენტიმა მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილა და კენჭი უყარა მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს, პარლამენტმა ნდობა ვერ/არ გამოუცხადა მთავრობას

მთავრობის შემადგენლობის ხელახალი წარდგენა

მთავრობის შემადგენლობის პირველი წარდგენიდან 30 დღის ვადაში განმეორებით ეყრება კენჭი იგივე ან განახლებულ შემადგენლობის მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტმა არც ამჯერად გამოუცხადა ნდობა მთავრობის შემადგენლობას

პრეზიდენტი

პრეზიდენტი7 დღის ვადაში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს პარლამენტის სიითი შემადგელობის არანაკლებ ორი მეხუთედის მიერ წარდგენილ კანდიდატურას. თუ პარლამენტის წევრთა სხვადასხვა შემადგენლობა 2 კანდიდატურას წარადგენს, პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს იმ კანდიდატურას, რომელიც უფრო მეტმა პარლამენტის წევრმა წარადგინა, ხოლო წარმდგენთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში-ერთ-ერთ წარდგენილ კანდიდატურას

პრემიერობის კანდიდატი

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას ნდობის მისაღებად.

პარლამენტის მიერ მთავრობის შექმნა

პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილა და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა მთავრობის შემადგენლობას და

პრემიერ-მინისტრის /მთავრობის წევრების დანიშვნა

პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადებიდან პრეზიდენტი ორი დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, პრემიერ-მინისტრი კი ორი დღის ვადაში მთავრობის წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება